ხაშურის მოამბე

№1(325) 17 იანვარი, ორშაბათი, 2022 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

10 იანვარს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი. სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა, აუცილებლობიდან გამომდინარე, ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს მიერ ადრე მიღებულ რამდენიმე დადგენილებასა და განკარგულებაში. კერძოდ: დადგენილებაში - „ხაშურის მუნიციპალიტეტის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ;“. აგრეთვე დადგენილებაში - „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.“ ასევე განკარგულებაში - „ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების პედაგოგთა განაკვეთის, საგაკვეთილო საათებისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესის შესახებ.“

ამის შემდეგ, საკრებულომ მოისმინა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების მიერ 2021 წლის პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც შეფასდა დადებითად.

სხდომის ბოლოს, საკრებულოს წევრებმა განიხილეს ნაციონალური მოძრაობიდან საკრებულოს წევრის შავლეგ დოლიძის პირადი განცხადება უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, რაც დეპუტატებმა ცნობად მიიღეს.

ნინო ლიპარტელიანი: - გვინდა, რომ მაქსიმალურად ვიყოთ ორიენტირებულნი ჩვენი მოქალაქეების პრობლემებზე და სატკივარზე...

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდაათწლიან ისტორიაში, პირველი შემთხვევაა, როდესაც საკრებულოს ქალბატონი ხელმძღვანელობს. ჯერ სულ ორიოდ თვეა, რაც ქალბატონი ნინო ლიპარტელიანი საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს, მაგრამ მისი კომპეტენცია და ღრმა განათლება უკვე დაეტყო საკრებულოს მუშაობას. დღეს ჩვენს მკითხველს შესაძლებლობა აქვს უფრო ახლოს გაეცნოს საკრებულოს თავმჯდომარეს და მის ხედვებს პოლიტიკაზე თუ სხვა ყოფით პრობლემებზე.

-ქალბატონო ნინო, რა პასუხისმგებლობაა თქვენთვის, იყოთ საკრებულოს თავმჯდომარე?

–უდიდესი პასუხისმგებლობაა, რადგან ჩვენ ვართ საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა გამოუცხადა თავისი ნდობა, რაც ზრდის პასუხისმგებლობის გრძნობას. რომ ის გუნდი, რომელიც წარმოდგენილია დღეს საკრებულოს აპარატში, ბოლომდე იაზრებს და ითავისებს საზოგადოების წინაშე ნაკისრ ვალდებულებას. შენი ქალაქის საკრებულოს რომ წარმოადგენ, ეს პერსონალური პასუხისმგებლობაა, ხოლო ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, გვინდა, რომ მაქსიმალურად ვიყოთ ორიენტირებულნი ჩვენი მოქალაქეების პრობლემებზე და სატკივარზე.

- ვფიქრობთ, ხაშურმა ბევრჯერ აჩვენა თავისი დემოკრატიული არჩევანი, რაც გენდერული კუთხითაც გამოიხატა. სხვა ქალბატონი თუ არის რომელიმე მუნიციპალიტეტში საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე?

–დიახ, ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარე გახლავთ ქალბატონი, სულ ორნი ვართ, ვფიქრობ, რომ მეტნი უნდა ვიყოთ, საკანონმდებლო ორგანოში, რადგან ქალი, საკმაოდ ძლიერი, პასუხისმგებლიანია, თუ შესაბამისი გონებრივი რესურსი და განათლებაც აქვს.

- საკრებულოს სხდომებზე დასწრება საჯარო იყო ნებისმიერი მოქალაქისთვის, რამე ცვლილება ხომ არაა ამ კუთხით?

–ნებისმიერი მოქალაქისთვის საკრებულოს სხდომები ისევ ღიაა, ვცდილობთ, მეტი საჯაროობა იყოს ჩვენს საქმიანობაში. მოქალაქეთა მიღების დღეებსაც განვაცხადებთ და ყველა მაჟორიტარიც და საკრებულოს წევრიც ვალდებული იქნება კვირაში ერთხელ, შეხვდეს საკუთარ ამომრჩეველს. აბსოლუტურად ყველა სხდომა არის საჯარო. რეგლამენტში შევიტანეთ ცვლილება, თუ იქნება ისეთი ფორსმაჟორული სიტუაცია, რომ ზუმით მოგვიწიოს სხდომების ჩატარება, ამისთვისაც მზად ვართ, ჩავრთოთ მოქალაქეები. ვთხოვეთ ამერიკის კუთხეს, რომ დაგვეხმაროს საჯაროობის გაზრდაში და ეს იქნება მეტი ჩართულობისთვის. მერწმუნეთ, ჩართულობა ახლაც დიდია, სოც. ქსელების საშუალებით გვწერენ, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რაც ძალიან სასიამოვნოა. საკრებულო ღიაა კომუნიკაციისთვის. კიდევ სხვა გეგმები გვაქვს, გენდერული თანასწორობის საბჭო გავაფართოვეთ, გადავახალისეთ და სულ მალე იქნება პირველი შეკრება, სადაც ბევრი პრობლემური საკითხი დაისმება.

- როგორი იქნება კომუნიკაცია ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან?

–3 დეკემბერს დავიწყეთ აქტიური საქმიანობა, მოხდა სტრუქტურების ჩამოყალიბება. გვაქვს სერიოზული ჩანაფიქრები, ამაზე ვიმუშავებთ სამანდატო-საპროცედურო კომისიის წევრებთან ერთად და ინტენსიურად ვიქნებით აღმასრულებელ ხელისუფლებასთანაც კონტაქტში იმისთვის, რომ ადგილობრივი პრობლემების გადაჭრა უფრო ეფექტურად მოხდეს.

- სხდომების ჩატარების განრიგი როგორია?

–სხდომების განრიგი შეიცვალა, რიგითი სხდომა იმართებოდა ყოველი თვის პირველ სამშაბათს და გადავიტანეთ ხუთშაბათს, რადგან სხდომას მომზადება სჭირდება და მეორე დღეს, მისი სოც. ქსელში ატვირთა, ამიტომ დავტოვეთ ოპტიმალური დრო

- წელს, მუნიციპალიტეტის საკრებულო პარტიული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რამდენად დემოკრატიულად მიმდინარეობს სხდომები?

–ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მართლაც არის მრავალპარტიული, გვყავს როგორც “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის”, ასევე “გახარია საქართველოსათვის” და “ლელოს” ერთი წევრი. აქტიურად იღებენ საკითხების განხილვაში მონაწილეობას. ვერ დავასახელებ საკრებულოს სხდომას, სადაც ოპოზიციის წარმომადგენლები არ გვესწრებოდნენ, თუმცა, ყოფილა შემთხვევა, როცა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, ღია კენჭისყრის დროს, თავს იკავებენ., თუმცა ღია დებატების დროს, აქტიურად იღებენ მონაწილეობას. საკანონმდებლო ფორმატით თუ რამეს შემოგვთავაზებენ პარტიები, ჩვენ აუცილებლად განვიხილავთ მას. ამიტომაა საჭირო საკრებულოს მრავალპარტიულობა. მინდა გითხრათ, რომ ძალიან კარგი რესურსითაა წარმოდგენილი ოპოზიციური პარტია, რაც ძალიან კარგად წაადგება ჩვენს ერთობლივ მუშაობას და ჩვენ მუნიციპალიტეტს. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოში, პოლიტიკური კულტურა ძალიან დაიხვეწა, მათ აქვთ უფლება, იბრძოლონ საკუთარი ამომრჩველის კეთილდღეობისთვის. სანამ მე ვიქნები საკრებულოს თავმჯდომარე, არ დავუშვებ, რომ საკრებულოში იყოს პოლიტიკური ესკალაცია.

- თემა რომ გავაგრძელოთ, გენდერულ კონტექსტში. როგორც ქალისთვის, რამდენად რთული და საპასუხისმგებლო პოზიციაა საკრებულოს თავმჯდომარეობა, მით უმეტეს, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტს ამისი გამოცდილება აქამდე არ ჰქონია.

–ჩემთვის, პერსონალურად, როგორც ქალისთვის, უდიდესი პასუხისმგებლობაა. პირველ რიგში, მე ვარ რიგითი ქართველი მოქალაქე, ორი შვილის დედა, მეუღლე, უმაღლესი სკოლის პედაგოგი, ახლა უკვე პოლიტიკურ თანამდებობაზე ვარ. ეს არაა ხელწამოსაკრავი პოზიცია, რადგან ბევრ რამეზე ფიქრს იწყებ, იწყებ პოლიტიკურ აზროვნებას. აქედან გამომდინარე, ხშირად, ისეთ ინფორმაციას ვეცნობი, რომელსაც არც ვიცნობდი, მაგრამ ჩემმა პოლიტიკურმა თანამდებობამ განაპირობა ბევრი ასეთი ტიპის ინფორმაციის მიღების აუცილებლობა. თავიდან და უფრო სიღრმისეულად ვეცნობი პოლიტიკოს ქალთა ბიოგრაფიებს, როგორ გადაწყვეტილებას იღებდნენ რთულ სიტუაციებში, რამდენადაა მათი პოლიტიკური ცხოვრება ოჯახთან შესაბამისობაში. ეს გამოცდილება გვაქვს და საკმაოდ კარგიც.

- და ბოლოს, როგორ შეხვდა თქვენი ოჯახი ახლ წელს, რამე განსაკუთრებული ტრადიცია ხომ არ გაქვთ, რომლის გაზიარებაც საინტერესო იქნებოდა მკითხველისთვის?

–ჩემი საახალწლო განწყობა წელს სამსახურეობრივი იყო, გარეთ შევხვდი წელს, ჩემს თანამოქალაქეებთან ერთად. საახალწლო სოფელში, ჩვენმა საკრებულომ წარმოადგინა ჩვენი დამეგობრებული ქალაქების საშობაო კულინარიული სუფრა, პირველი შემთხვევა იყო ჩემთვის, რომ ოჯახით გარეთ შევხვდით. ძალიან პატრიარქალურ ოჯახში გავიზარდე, ოჯახში გვაქვს ტარდიცია, რომ ყველა ვიკრიბებით სახლში, დაოჯახების შემდეგ, ჩემს დედამთილ-მამამთილთან ვხვდებით. სხვა განსაკუთრებული ტრადიცია არ გვაქვს.

- მადლობა ინტერვიუსთვის და იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველს პერიოდულად, ყოველთვის ექნება შესაძლებლობა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს მოუსმინოს.

– რათქმა უნდა, ნებისმიერ დროს...

თ. ჯავახიშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ანგარიში 2021 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება თავის საქმიანობას ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ №38 დადგენილების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განყოფილებაში საქმიანობს 5 თანამშრომელი - განყოფილების ხელმძღვანელი და 4 მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. აქედან 3 უფროსი სპეციალისტი ემსახურება მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს, ხოლო ერთი უფროსი სპეციალისტი და განყოფილების ხელმძღვანელი პასუხისმგებელი არიან მედიასთან, საზოგადოებასთან, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე. განყოფილების ხელმძღვანელი არის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი, ასევე მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. განყოფილება მართავს მერიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდს, ასევე მერიის ოფიციალურ ვებგვერდსაც. ასევე განყოფილება პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციის კატეგორიას მიკუთვნებულ კორესპონდენციასთან დაკავშირებით, 2021 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში შემოსული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემის 47 მოთხოვნა, 10 მოთხოვნა შემოსული იყო და პასუხი გაეცა 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ამ ეტაპზე გვაქვს 2 მიმდინარე განცხადება.

ყველა მათგანზე მოხდა რეაგირება და ამის შესახებ საჯარო ინფორმაციის გამომთხოვ პირებს წერილობითი ფორმით ეცნობა.

ყველა განცხადება დაკმაყოფილდა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადდა და 2021 წლის 9 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს

პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე გაიგზავნა ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიაში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემისას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი 10-დღიანი ვადა ყოველთვის დაცულია, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული ყველა განცხადება დაკმაყოფილდა. უარის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯებმა, ასლის მოსაკრებლის სახით, შეადგინა 0 ლარი.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევისთვის დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევები არ ყოფილა.

როგორც აღინიშნა, განყოფილება ადმინისტრირებას უწევს მერიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდს და ვებ-გვერდსაც, რაც საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებას საშუალებას აძლევს უზრუნველყოს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციაში გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების ამაღლებას.

მერიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე ახალი ინფორმაციის განთავსება ხდება ყოველდღიურ რეჟიმში. როგორც ფეისბუქის, ისე ვებგვერდზე განსათავსებელი მასალის მომზადება, დამუშავება, შესაბამისი ფოტომასალის დართვა, ასევე, ვიდეო მასალების მომზადება თუ ე.წ. Video Live-ს გაშვება ხდება უშუალოდ განყოფილების თანამშრომლების მიერ. გარდა ჩვენი ექსკლუზიური ინფორმაციისა, ფეისბუქის გვერდზე ხდება ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების და ქვეყანაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ არსებული ინფორმაციის გაზიარება.

ფეისბუქის გვერდი მუშაობს ინტერაქტიულ რეჟიმში. მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ დასვან შეკითხვა ან აზრი გამოხატონ მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემების ირგვლივ. ყველა შეკითხვა, რომელიც შემოსულია ფეისბუქის გვერდის მეშვეობით, პასუხგაცემულია შესაბამის სამსახურებთან კონსულტაციის შემდეგ.

გარდა ინფორმაციის გავრცელების აღნიშნული საშუალებებისა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს საინფორმაციო სააგენტო Ipress-თან, სადაც სისტემატურად ხდება ინფორმაციის განთავსება მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. თებერვლის თვიდან (როცა დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულება) დეკემბრის ბოლომდე სააგენტოს საიტზე გამოქვეყნებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ამსახველი 110 მასალა. ამჟამად მიმდინარეობს ბაზრის კვლევა და მომავალი თვიდან მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მასალების განთავსება კვლავ შესაძლებელი იქნება.

განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს რეგიონულ თუ ცენტრალურ მედიასთან. განსაკუთრებით ხშირად გვიკავშირდებიან ადგილობრივი ტელეკომპანიების „დიას“, „მონიტორინგის“ და „თრიალეთის“ ჟურნალისტები, ასევე რეგიონული თუ ცენტრალური ბეჭდვითი თუ ინტერნეტმედიის წარმომადგენლები.

მოგეხსენებათ, 2020-2021 წლები მსოფლიო პანდემიის პერიოდია. განყოფილება აქტიურად იყო ჩაბმული პანდემიასთან ბრძოლის საინფორმაციო კამპანიაში. ასევე ცხელი ხაზის (მათ შორის ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ცხელი ხაზის) საქმიანობაში. ამ მიმართულებით არაერთმა მოქალაქემ მიიღო სხვადასხვა სახის დახმარება. მათ შორის დახმარება მუნიციპალიტეტში არსებული რესურსებიდან, ასევე მიზნობრივი გადამისამართება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში. განყოფილება ჩართულია კოვიდ პაციენტების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემაში და ნებისმიერი კრიტიკული საჭიროების შემთხვევაში ხდება პაციენტების მოთხოვნის გადაგზავნა მონიტორინგის რეგიონულ წარმომადგენლობასთან. აღსანიშნავია, რომ განყოფილება უშუალოდ იყო ჩართული მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების ვაქცინაციის პროცესში. ადგილობრივ სასწრაფო დახმარების სამსახურთან, სოფლის ექიმებთან და ექთნებთან, ასევე რეგიონის ხელმძღვანელობასთან და თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ჩვენი უშუალო მონაწილეობით, შესაძლებელი გახდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრები 500-ზე მეტი მოქალაქის სრული ვაქცინაცია.

განყოფილება აქტიურად არის ჩართული ხაშურთან დამეგობრებული ქალაქებთან ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. როგორც მოგეხსენებათ, პანდემიის გამო, ვიზიტები და აქტიური კონტაქტები დროებით შეწყვეტილია, თუმცა, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ინარჩუნებს პერსონალურ და ოფიციალურ ურთიერთობას ხაშურთან დამეგობრებულ ყველა ქალაქთან. გვაქვს მიმოწერა, მიმდინარე თვეში დაგეგმილია ონლაინ კონფერენცია უკრაინის ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკთან.

განყოფილება ჩართულია ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო კამპანიაში. კამპანია ხორციელდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით. კამპანიის ფარგლებში, მიმდინარეობს შეხვედრები მოქალაქეებთან მათთვის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ რეალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით. პანდემიის გამო შეხვედრები ტარდება ონლაინ რეჟიმში, სადაც მონაწილეობას იღებენ როგორც მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს თანამშრომლები, ისე მუნიციპალური ა(ა)იპ-ების წარმომადგენლები, ახალგაზრდები და ა.შ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილება აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტსა და სხვადასხვა არასამთავრობო, სამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობაში, მათ შორის შეხვედრებისა თუ ტრენინგების მომზადების საორგანიზაციო საკითხებში, ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობაში. გასულ წელს, ჩვენი უშუალო ჩართულობის შედეგად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: გენდერული თანასწორობის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა და გენდერული თანასწორობის 2021-2025 წლების საშუალოვადიანი სტრატეგია. ამასთან, განყოფილების ხელძღვანელი, რომელიც ამავე დროს არის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, ჩართული იყო სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან გენდერული თანასწორობის საკითხებზე ტრენინგების ჩატარების საქმეში. ასევე, გაეროს სურსათის ორგანიზაციასთან (FAO) თანამშრომლობით, ჩატარდა ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებზე სოფელ ფლევსა და ტკოცაში მცხოვრები ქალებისთვის, სადაც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის პროექტი ხორციელდება.

ამასთანავე 2021 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელძღვანელი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც გაიარა სასწავლო კურსი მედიისა და ინფორმაციის საკითხებზე ვაშინგტონის უნივერსიტეტში ქალაქ სიეტლში და სტაჟირებაზე იმყოფებოდა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში, საერთაშორისო განათლების ინსტიტუტში, ატლანტიკურ საბჭოში, ვაშინგტონის შტატის გუბერნატორის ოფისსა და საარჩევნო კომისიაში, ასევე აშშ საგანგებო სიტუაციების სამსახურში და სხვა ორგანიზაციებში. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსი მიმდინარეობდა ჰუბერტ ჰამფრის პროგრამის მხარდაჭერით, სადაც მონაწილეობას იღებდა 10 ქვეყანა. საქართველოს წარმოადგენდა მხოლოდ ხაშურის მუნიციპალიტეტი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი განყოფილების გამართული ფუნქციონირება დიდწილად არის დამოკიდებული როგორც ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელთან და სხვა განყოფილებებთან, ისე მერიის სამსახურებთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, ყველა ხელმძღვანელ პირთან თანამშრომლობაზე. ამიტომ, გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ თანამდებობის პირსა თუ თანამშრომელს, რომელთა ჩართულობის, თანამშრომლობაზე ორიენტირებულობისა თუ პრობლემებზე დროული რეაგირების გარეშე ჩვენი საქმიანობა აუცილებლად შეფერხდებოდა. როგორც განყოფილების ხელმძღვანელი, მადლობას ვუხდი მის თითოეულ თანამშრომელს შრომისთვის და მხარდაჭერისთვის.

განყოფილება მუშაობას აგრძელებს აქტიურ რეჟიმში და მისი ყველა თანამშრომელი მომავალშიც მზად არის თავი გაართვას მასზე კანონმდებლობით დაკისრებულ ამოცანებს.

ნინო სუხიაშვილი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი

- კოვიდ - 19 -

ხაშურში პირველადი დოზით 9539 კაცია აცრილი, მეორადი დოზით - 9914 და ბუსტერდოზით - 589

პანდემიური ქაოსის დაწყებიდან თითქმის ორი წლის შემდეგ, კვლავ აქტუალურია პანდემია და მასთან დაკავშირებული იმუნიზაციის წარმატებით განხორციელება. ჩვენ ისევ პანდემიაზე და ომიკრონით გამოწვეულ ახალ ტალღაზე ვსაუბრობთ, თუმცა ჯანდაცვის სპეციალისტების განმარტებით, მომავალი წელი მაინც გაცილებით იმედიანად გამოიყურება. ჯანდაცვის სპეციალისტები ფიქრობენ, რომ პანდემია შესაძლოა 2022 წელს დასრულდეს კიდეც. ამავე დროს, კვლავ აქტიურად საუბრობენ ვაქცინაციის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე აღნიშნული საკითხის განხილვისას.

შპს „ახალი კლინიკის“ ექიმი, ვაქცინატორი **ლალი გოგიტაური** ხაშურის რაიონში მიმდინარე იმუნიზაციის შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ ვაქცინაციის კუთხით ხაშურში მდგომარეობა საშუალო დონეზეა, თუმცა სასურველია უფო მეტი ადამიანი იცრებოდეს, ვიდრე დღეს იცრება.

-- ხაშურში აცრების რიცხვი კი დიდი გვაქვს, მაგრამ ეს გამოწვეულია იმით, რომ ძალიან ბევრი იმუნიზაციისათვის მოდიოდა სხვა ქალაქებიდან თბილისიდან, ქარელიდან, გორიდან. ხაშურის რაიონის მოსახლეობისაგან უფრო დაბალი მომართვიანობაა. მაგალითისთვის, კონკრეტულად დღეს უკვე აცრილა 140 ადამიანი. ეს რაოდენობა სადღესასწაულო დღეების შემდეგ, მისაღებიც კი არის, ვინაიდან, მოგეხსენებათ, ვაქცინაციის შემდეგ ალკოჰოლის მიღება დაუშვებელია ალერგიული რეაქციების თავიდან აცილების მიზნით და შესაბამისად, გასულ პერიოდშიც მომართვიანობამ იკლო. სავარაუდოდ, მომავალი კვირიდან ვაქცინირების მსურველთა რიცხვი მოიმატებს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ აქტიურად დაიწყო უკვე ბუსტერ აცრებიც ხაშურში. რაც შეეხება ბუსტერ დოზას... ბუსტერი არის დამატებითი აცრა. ძალიან აქტიურად მიმდინარეობს ბუსტერ დოზით ვაქცინაცია, რადგან ბუსტერი იმ ხალხს უწევს, ვინც საკუთარი მაღალი პასუხისმგებლობის გამო დასაწყისშივე ნებაყოფლობით აიცრა, ისინი ნებაყოფლობით იცრიან ბუსტერსაც. მიმდინარე დღეს თითქმის ყველა აცრა ბუსტერ დოზისთვის განხორციელდა. ძირითადად, ბუსტერ აცრისათვის გამოიყენება ფაიზერის ვაქცინა და ზოგადად, აცრებშიც ჭარბობს ფაიზერი, შემდეგ სინოფარმი და სინოვაკი.

ქალბატონი ლალი აღნიშნავს, რომ მოსახლეობის ვაქცინაციის გააქტიურებისათვის მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 60 წელს ზემოთ ასაკობრივი კატეგორიისათვის პირველადი აცრისას დაწესებულმა ფულადმა თანხამ. მისი განმარტებით, 2021 წლის დეკემბრიდან იმუნიზაციის მსურველთა რიცხვიდან მომართვიანობაც შესაბამისად საგრძნობლად გაიზარდა.

-- ქალბატონო ლალი, როგორია ზოგადი სტატისტიკა, რა ასაკის ადამიანები იცრებიან უფრო ხშირად?

-- უფრო მეტად იცრებიან ახალგაზრდები, ზოგი სტუდენტია, ზოგი საზღვარგარეთ მიდის, აგრეთვე გარკვეული ასაკობრივი ჯგუფი, მოხუცები... საერთო სტატისტიკა კი ასეთია: დღეისთვის 9539 კაცი აცრილია პირველადი დოზით და 589 - ბუსტერდოზით (ინტერვიუ ჩაწერილია 13 იანვარს. თ.ა.).

-- როგორია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის აქტიურობა და ზოგადად, როგორ ხდება სოფლის მოსახლეობის ვაქცინირება?

-- სოფლად მოსახლეობის ვაქცინირება უზრუნველყოფილია თბილისისა და გორის სამედიცინო ბრიგადების მიერ. თუმცა, ვინაიდან, ფაიზერით იმუნიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ხაშურში არსებულ იმუნიზაციის კაბინეტში, აღნიშნული ვაქცინით აქტიურად იცრება სოფლს მოსახლეობა ხაშურში. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის მოსახლეობაზე მეტად

სოფლის მოსახლეობა აქტიურობს ვაცინირებისას.

-- ქალბატონო ლალი, იმუნიზაციის პროცესში ხომ არ დაფიქსირებულა აცრის შემდგომი გართულებები?

-- აცრის შემდეგ, მწვავე ალერგიული რეაქცია არ გვქონია. დალოდების ვადის ამოწურვის, 30 წუთის შემდეგ, გართულება დღემდე არ დაფიქსირებულა.

ხაშურში, ამ მოცემულ ეტაპზეც, იმუნიზაციის ერთი კაბინეტი ფუნქციონირებს. მეორე კაბინეტი გხსნილია სურამში. თუმცა, ფაიზერით აცრა შესაძლებელია მხოლოდ ხაშურის იმუნიზაციის კაბინეტში. გასულ პერიოდთან შედარებით, არ არის აცრების მსურველთა დიდი რიგები და შესაბამისად, რიგებიც მეტად მოწესრიგეულია. თუმცა კი, აცრის მსურველებმა თავად უნდა გამოიჩინონ კეთილი ნება, მოაწესრიგონ რიგები. ჩვენ აქ ვართ, ვიდრე ერთი ადამიანიც კი იქნება აცრის გაკეთების მსურველი და ვემსახურებით მათ.

მოვუწოდებ მოსახლეობას, რომ აიცრან. ატარონ პირბადე და დაიცვან რეგულაციები, რადგან სხვაგვარად დასრულება, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

თ. ახალკაცი

აღმაშენებლის სახელობის ფრესკას და ანდერძის შემცველ წარწერას რეაბილიტაცია ჩაუტარდა

ხაშურში, ბორჯომისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე არსებულ დავით აღმაშენებლის სახელობის ფრესკას და ანდერძის შემცველ წარწერას რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ფრესკა, საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის მიმდებარედ მდებარეობს და ქალაქის ტურისტულ იერსახეს ქმნის. მისი რეაბილიტაცია ათწლეულების მანძილზე არ ჩატარებულა. რეაგირება კი მართლაც დროულად მოხდა, რადგან ბუნებრივმა პირობებმა - თოვლმა თუ წვიმამ, მისი იერსახე მნიშვნელოვნად დააზიანა.

სამუშაოები მთლიანად ადგილობრივმა ბიუჯეტმა დააფინანსა. აღმაშენებლის ფრესკის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია როგორც ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისთვის, ისე ცნობადობის ამაღლების მიმართულებით.

საშობაო საჩუქრები ბენეფიციარებს დაურიგდათ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და ა(ა)იპ კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების წარმომადგენლებმა საშობაო ალილოსთვის განკუთვნილი ძღვენი წმინდა დიმიტრი ყიფიანის პანსიონში მიიტანეს.

წელს ალილოსთვის განკუთვნილი საშობაო შემოწირულობების შეგროვება წმინდა დიმიტრი ყიფიანის პანსიონში მიმდინარეობდა, საიდანაც, შემდგომ, საჭიროებისამებრ გადანაწილდა.

სასიამოვნოა, რომ ტრადიცია, რომელიც საშობაო ალილოს ეხება,არც ამჯერად დარღვეულა. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა ამ დღესასწაულს, მერიამ და კერძო პირებმა მაინც მოახერხეს და საშობაოდ პატარებისა თუ სოციალურად დაუცველთა გულები გაახარეს.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

ამასობაში ვიღაცამ ბრბოს მიანიშნა, რომ იარაღი მეორე არსენალში აწყვიაო.

„ბრბოც გაემართა ყვირილით ნაჩვენები ადგილისაკენ. ეს ვაუბატონები არ დაკმაყოფილდნენ თითო თოფით და უნდოდათ კიდევ შეეძინათ.

მათ სროლა ასტეხეს. არსენალთან მდგომ წითელგვარდიელებმაც სროლით უპასუხეს. ერთი გვარდიელი მსუბუქად დაიჭრა ფეხში. წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო, რადგან შეუგნებელი ბრბო თავგანწირვით მოდიოდა არსენალისაკენ.

გასტეხეს 282-ე უფის დრუჟინის არსენალი.

აქედან გაიტაცეს იარაღი.

წარმოიდგინეთ, ბავშვებიც კი ღებულობდნენ მონაწილეობას დარბევაში. გაიტაცეს ტანისამოსი, აუარებელი პატრონები“.

მიუხედავად ადგილობრივი ხელისუფლების დიდი მცდელობისა, მათ მაინც მოახერხეს არსენალის გატეხვა და იარაღის გატაცება.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ შექმნილი მდგომარეობის შესახებ თბილისს აცნობა და მოითხოვა დახმარება. თავის მხრივ, შესაძლებლობის ფარგლებში, ზომებიც მიიღო და ბრბო გაფანტა და მხოლოდ მცირე რაოდენობის იარაღის გადარჩენა მოახერხა.

თბილისიდან დამხმარე ძალის ჩამოსვლამდე ხელისუფლებამ ადგილობრივი, საიმედო პირები შეაიარაღა. „მთელი ღამე ფეხზე ვიდექით და ქალაქს ვიცავდი“ - წერდნენ შემდეგ გაზეთში.

5 თებერვალს, დილის 7 საათიდან ხალხმა კვლავ იწყო დენა სოფლებიდან, უმთავრესად ოსებმა. მათ მოიყარეს თავი სოციალ-დემოკრატების კლუბისწინ და მოითხოვდნენ იარაღს. მათაც მეთაურობდნენ დემობილიზებული ჯარისკაცების წარმომადგენლები. მათ ბრბოში გააჩაღეს პროვოკაცული მოწოდებები:

„ესენი მიუთითებდენ ჩვენზე – წითელ გვარდიელებს იმიტომ აიარაღებენ, რომ შემდეგ მიუსიონ გლეხებს. ჩვენ უნდა შევებრძოლოთ მათ და იარაღი ჩამოვართვათო“.

მაგრამ ზოგიერთ შეგნებულ ჯარისკაცებმა მოახდინეს გავლენა ბრბოზე და დროებით დააწყნარეს იგი.

რის ვაი-ვაგლახით ბრბო 11 საათამდე შევაჩერეთ. ამ ხნის განმავლობაში ამხანაგები ჩამოვიდნენ თფილისიდან. დაინახეს თუ არა ისინი, ბრბო მიმოიფანტა. წითელგვარდიელებმა ასტეხეს სროლა. ზოგიერთმა ბნელმა ძალებმა სარდაფებიდან მათ სროლითვე უპასუხეს, რამაც იმსხვერპლა ერთი ჩვენი ყვირილელი წითელ გვარდიელი და ერთი მსუბუქად დაიჭრა“

ხელისუფლებამ საჩქაროდ გაატარა საჭირო ღონისძიებები და „ბევრმა თოფები უკანვე მოიტანა“.

6 თებერვალს, ყვირილაში წაასვენეს მოკლული წითელგვარდიელი, სადგურზე გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო, ილა-პარაკეს ორატორებმა, განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება იქონია მსმენელზე ვლასა მგელაძის სიტყვამ.

„ჯერ-ჯერობით ქალაქში სიწყნარეა არ ვიცით მომავალში რა იქნება. ასეთივე დარბევით ემუქრებიან ბორჯომს და გორს, სადაც გაიწვიეს ჩვენი წითელ-გვარდიელები.

მდგომარეობა ხაშურში მეტად სერიოზულია“.

იმავე დღეებში, ოსიაურში, დიდი ტრაგედია დატრიალდა. უცნობმა პირებმა თავადი გიორგი ვეზირიშვილი, ოჯახი ამოხოცეს. ამავე პერიოდში, ქართლში არაერთი ქართველ თავად-აზნაურის ოჯახი იქნა განადგურებული. სოფ. წრომში მოკლეს ლევან ციციშვილი, განხორციელდა სხვა მკვლელობებიც. ორგანიზატორები ფიქრობდნენ, რომ ამ აქტებით ქვეყანაში სიტუაცია დაეძაბათ და არეულობა გამოეწვიათ, მოეხდინათ გლეხობისა და თავადაზნაურობის დაპირისპირება, რაც, საბოლოოდ უარყოფითად იმოქმედებდა ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე.

ქართველმა საზოგადოებრიობამ შეძლო დაწყებული ტერორის შეჩერება.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო ყრილობამ, რომელიც ხაშურში დატრიალებული მოვლენების მომენტში მიმდინარეობდა, სპეციალურად მიავლინა დელეგატები ვ. მგელაძე, ვ. ცაბაძე და ვლ. ჯიბლაძე ადგილზე საკითხის შესასწავლად. მათთან ერთად იყვნენ თბილისის გუბერნიის კომისარი კ. ჯაფარიძე, ა. ჟორჟოლიანი და ხაშურის წითელი გვარდიის წარმომადგენლები.

კომისია 4 თებერვალს, საღამოს გაემგზავრა ხაშურში და 5 თებერვალს დილით, უკვე ადგილზე იყო. კომისია ჩავიდა ოსიაურშიც. გუბერნიის კომისარი კ. ჯაფარიძე გაზეთ „ერთობას“ ატყობინებდა: „ხაშურის მიდამოებში წესიერება აღდგენილია. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ერთიანად ჩვენ გვემხრობა და თანაგრძნობით გვეკიდება. ექსცესების გამომწვევია დეზერტირების ჯგუფი. ოსიაურის მცხოვრებნი დაგვპირდნენ ვეზროვის და მისი ოჯახის ამომჟლეტის მონახვას და დატუსაღებას“.

1918 წლის 10 თებერვალს მოწვეული იქნა ამიერკავკასიის სეიმი (პარლამენტი). ხაშურისა და მისი რეგიონის მოსახლეობა დადებითად შეხვდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნას.

1918 წლის 25 თებერვალს, რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად, სურამში, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ინიციატორობით, გაიმართა მიტინგი, რომელზეც განხილული იქნა მიმდინარე საკითხებიც. სიტყვებით გამოვიდნენ სდმპ ადგილობივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები. კ. წოწონავამ „...მოკლეთ დაუსურათა მიტინგს რევოლუციის მსვლელობა, ოქტომბერში ბოლშევიკთა გამოსვლა და ამით გამოწვეული შინაური არევ-დარევა, ხალხის, დემოკრატიის ერთად-ერთი იმედის, დამფუძნებელი კრების გარეკვაა, რამაც ერთნაირი დეზორგანიზაცია შეიტანა მასაში“.

მან მოუწოდა მიტინგის მონაწილეებს მხარი დაეჭირათ ადგილობრივი, ამიერკავკასიის სეიმისა და მთავრობისათვის, რათა მას მიცემოდა „...საშუალება მოაწესრიგოს ის საკითხები, რომელიც უნდა გადაეჭრა დამფუძნებელ კრებას“[527]

ს. მამალაძე „ვრცლად შეეხო ბოლშევიკთა ავანტურას, რამაც რუსეთის დიდი რესპუბლიკა დაანაწილა, დამფუძნებელი კრების გარეკვას, რის შედეგია ამიერკავკასიის სეიმი. ბოლშევიკთა ზავს, ბათუმ-ყარს-არდაგანის ოსმალეთისთვის დათმობას და ამით გამოწვეული ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადებას“.

მან მოუწოდა მიტინგის მონაწილეებს მისალმებოდნენ ამიერკავკასიის სეიმს, ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებას. ამავე დროს, იგი აღნიშნავდა თუ ქართული დელეგაცია ვერ მოაგვარებდა „საპატიო ზავს“ ოსმალეთთან, მიტინგზე შეკრებილ საზოგადოებას მოუწოდებდა თავდაცვისაკენ და „ამით ამიერკავკასიის დემოკრატია უზრუნველყოფილ იქნეს იმ უბედურებებისგან, რაც გამოწვეული იქნება ბათუმ-ყარს-არდაგანის ოსმალეთისთვის დათმობით.

მიტინგის მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს „ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია, თუ საჭიროება მოითხოვს, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცავს თავის საზღვრების“ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მიტინგის მონაწილეებში ქემფრელი გლეხის-გიორგი ქურდაძის „მოკლე სიტყვამ თავდაცვის შესახებ“ მან აღნიშნა: „ვისაც კი უყვარს თავისი სამშობლო, მდიდარი იქნება ის თუ ღარიბი, ყველამ უნდა იარაღით ხელში შეებრძოლოს მტერს“.

27 თებერვლს, სურამის რაიონის მუშათა და გლეხთა საბჭოს თაოსნობით, გაიმართა ანალოგიური მიტინგი თებერვლის რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად. მიტინგმა მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია:

„მრავალ-რიცხოვანმა მიტინგმა, მოწვეულმა სურამის რაიონის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს თაოსნობით, რევოლუციის წლისთავზე, მოისმინა რა მოხსენება, რომ ლენინ-ტროცკის მთავრობამ ამიერკავკასიის დემოკრატიის დაუკითხავად შესთავაზა ოსმალეთს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილები როგორებიც არის ბათუმი, ყარსი და არდაგანის ოლქები, რომელთა დაკარგვას ამიერ-კავკასიის დემოკრატია ვერ შეურიგდება, რადგანაც ეს იქნებოდა ნიკოლოზ მეორის უღლის შემდეგ სულთანის უღლის კისერზე დადგმა, ყრილობა სალამს უძღვნის ამიერკავკასიის სეიმს, რომელმაც გადადგა ნაბიჯები ამ მოსალოდნელი უბედურების წინააღმდეგ და ფიცს სდებს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს ზემოთხსენებულ ოლქების და რევოლუციის მონაპოვრების შესანარჩუნებლად“.

ასეთი განწყობა სუფევდა ხაშურის მოსახლეობაშიც და არა მარტო მათში.

უნდა შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან მოვლენასაც. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ ამიერკავკასიის ფრონტი მოიშალა. ხდებოდა ჯარისკაცების მიერ ფრონტის ხაზის თვითნებურად მიტოვება და სახლებში დაბრუნება. ჯარისკაცებში ვრცელდებოდა ბოლშევიკური იდეები, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა ისედაც რთულ შექმნილ მდგომარეობაზე.

„ფრონტის დარღვევამ, დაარღვია სოფლის ცხოვრებაც. ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა სოფლებში თუ დაბა-მაზრებში ანარქია გაამეფეს და ყველაფერი ის, რაც რევოლუციის მიერ იქნა აშენებული, რამდენიმე კვირის განმავლობაში დაანგრიეს“.

ადგილებზე იმართებოდა მოსახლეობის კრებები, მიტინგები, რომლებზეც განიხილებოდა შექმნილი მდგომარეობა, აქედან გამომდინარე მობილიზაციის საკითხები, ახდენდნენ ბოლშევიკების ქვეყნისათვის საზიანო საქმიანობის მხილებას და სხვა.

18 მარტს, სურამში, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საერთო კრებაზე, ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე და მიმდინარე მოვლენების შესახებ, მოხსენება გააკეთა ს. მამალაძემ. კრების მონაწილეებმა პატივი მიაგეს „ვერაგულად დახოცილი“ ამხანაგების, ლევან ტატიშვილსა და ლევან დადეშქელიანის ხსოვნას.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ძველი რევოლუციონერი, შემდგომში ცნობილი მწერალი დავით სულიაშვილი, რომელიც „შეეხო უმთავრესად ბოლშევიკების ავანტურას, რამაც დაღუპა რუსეთი“ და მოუწოდა კრების მონაწილეებს თავდაცვისაკენ.

ხაშურის რეგიონში ამ დროს ერთ-ერთი მწვავე საკითხად რჩებოდა მიწის საკითხი. 1918 წლის 7 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა მიიღი აგრარული კანონი, რომელიც ითვალისწინებდა მსხვილ მემამულეთა მიწების კონფისკაციას, მაგრამ ამ მიმართულებით არსებითად არაფერი არ გაკეთებულა. ამიტომ გლეხობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რასაც შესანიშნავად იყენებდნენ ბოლშევიკები.

ამ მხრივ გამონაკლისს არც ხაშურის რეგიონი წარმოადგენდა. ეს კარგად ჩანს სურამის მაგალითზე. აქაც „მობოლშევიკე“ ვაუბატონებს დიდი არევ-დარევა შეჰქონდათ მიწის საკითხში“, მაგრამ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს მუშაობის შედეგად „...ეს არევ-დარევა თუ სულ არა, რამოდენიმეთ მაინც მოისპო“

1918 წლის 22 აპრილს სეიმმა ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო დეკლარაცია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის და მისი დემოკრატიულ-ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ.

3 მაისს სურამში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზეც განიხილეს მთელი რიგი აქტუალური საკითხები. მიტინგს ესწრებოდნენ საადგილმამულო კომისიის წევრები შაქრო ჯავახიშვილი, ილარიონ ბოლქვაძე და ი. ბალანჩივაძე.

პირველი მაისის მნიშვნელობაზე, როგორც მუშათა საერთაშორისო დღესასწაულზე ისაუბრა ი. ბალანჩივაძემ, ი. ბოლქვაძემ, ტუღუშმა და პრუსენკომ. თანამედროვე მომენტის შესახებ ვრცლად ისაუბრა შ. ჯავახიშვილმა. მიტინგის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მიწის საკითხმა, რომლის შესახებაც ისაუბრა ი. ბოლქვაძემ. მან მუხლობრივ წაიკითხა და განუმარტა გლეხებს სეიმის მიერ მიღებული მიწის კანონი. იმავე დროს გლეხების მხრიდან დასმულ შეკითხვებზე ორატორი იძლეოდა ამომწურავ განმარტებას.

„მიუხედავად რომელიმე მუხლის რამოდენიმეჯერ განმარტებისა,- აღნიშნავდა გაზეთი „ერთობა“,- ბევრ გაუგებრობას ჰქონდა მაინც ადგილი. მაგალითად, წინ წამოდგა ერთი მოხუცი გლეხი და შეეკითხა: „აქ ამბობენ ჯერ აზნაურებს უნდა დაურიგდეთ შვიდ-შვიდი დესეტინა მიწა და თუ რამე დარჩება მერე გლეხებსო. ეგ კი დიდი უსამართლობა იქნება, ვინაიდან ზოგიერთმა თავად-აზნაურმა რაც რამ ქონდა, სულ შეჭამა და მამულებიც გაყიდა და იმათ რომ ხელ-ახლა მიეცეთ მიწა, ჩვენ არაფერი გვერგებაო“ და დასძინა: „გლეხებისთვის არც გათენებულა ჯერ და არც გათენდებაო“.

ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ „...ამგვარი არაფერი სწერია კანონში და მე ეგ არც მითქვამს. თუ ვინმე აზნაურმა გაჰყიდა და შესჭამა თუ რამ ებადა, იმას კანონი არაფერს არ აძლევს, მე მხოლოდ რამდენჯერმე განვმარტე, რომ კანონი მემამულეებს ჩამოართმევს შვიდ დესეტინაზე ზედმეტ ადგილსო და რაც შეეხება კანონს, ამგვარი დიდებული კანონი მიწის მოწესრიგების შესახებ არსად დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებაო“.

მიტინგზე მიღწეული იქნა რეზოლუცია: „სახალხო მიტინგმა, მოწვეულმა სურამის რაიონის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს თაოსნობით, მოისმინა რა მოხსენება მიწის კანონის შესახებ, რომელიც გამოსცა ამიერკავკასიის სეიმმა 7 მარტს დაადგინა: კრება, სცნობს გლეხებისათვის ამ კანონს სრულიად სამართლიანად, სრულ ნდობას უცხადებს სეიმს და მთავრობას, ყოველივე ღონისძიებას იხმარს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს სამიწათმოქმედო კომისიას ამ კანონის ცხოვრებაში გასატარებლად“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ეს პრობლემა დროულად უნდა გადაიჭრას

ავტომანქანების პარკირება, მთელს მსოფლიოში, მსხვილი თუ საშუალო სიდიდით ქალაქების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა და გამოწვევაა. ეს პრობლემა ჯერ კიდევ 60-იანის წლებიდან იღებს სათავეს, თუმცა ჩვენს ქვეყანაში, მაშინ, ასე მწვავედ არ მდგარა, რადგან ავტომანქანის საკუთრებაში ქონის „ფუფუნება“ მხოლოდ „მაღალი“ სტატუსების მქონეთ

გააჩნდათ და უბრალო მოკვდავთათვის ეს მხოლოდ ოცნების სფერო იყო. 21-ე საუკუნეში კი პარკირების პრობლემამ მთელი სიმწვავით შემოგვიტია. რაც ხდება დღეს ჩვენს დედაქალაქში ამ მხრივ, ყველასთვისაა ცნობილი და გაუთავებელი საცობები და ავტომანქანებით ჩახერგილი ტროტუარები უკვე ყოველდღიურობად იქცა. სამწუხაროდ, დღეს ამ პრობლემამ ჩვენს ქალაქშიც იჩინა თავი და მისი ცენტრალური ქუჩა თანდათან მახინჯ სახეს იღებს. რუსთაველზე ლამის ყოველდღიურად მცირდება საფეხმავლო სივრცე და თუ ასე გაგძელდა, კოლაფსამდეც შეიძლება მივიდეთ, რა დროსაც ფეხით გადაადგილების საშუალება, უბრალოდ, აღარ იქნება. სად არის გამოსავალი? ამაზე ალბათ კომპეტენტურმა ორგანოებმა დროულად უნდა იფიქრონ და გადაწყვიტონ. მანამდეკი, ვფიქრობთ, მოვიდა დრო, რომ პარკირება ფასიანი გახდეს. სიმბოლური 50 თეთრი თუ თუნდაც ლარი სულაც არ იქნება დიდი დარტყმა ავტომანქანების მფლობელთათვის, ქალაქი კი სოლიდურ შემოსავალს მიიღებს. სხვათაშორის, მსოფლიოს ნებისმიერი ქალაქისათვის ავტოპ-არკირების გადასახადი მათი ბიუჯეტის ერთ-ერთ მსხვილ შემოსულობად ითვლება. არც ხაშური იქნება გამონაკლისი. ჯერ ერთი, რომ ათამდე ადამიანი შეიძლება

დასაქმდეს (ეს მხოლოდ რუსთაველის ქუჩაზე და მის ჩიხებში) და მეორეც - შემოსული თანხა ისევ ხაშურის კეთილდღეობას მოხმარდება.

დიახ, პრობლემა უკვე მწვავეა და ვფიქრობთ, მუნიციპალიტეტის როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ორგანოები ამაზე დროულ რეაგირებას მოახდენენ.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ვაქცინაციის შემთხვევაში 200 ლარიანი ერთჯერადი სოციალური დახმარების მიღების ასაკმა დაიწია!

200 ლარიანი ერთჯერადი სოციალური დახმარების მიღების უფლება ავტომატურად აქვს 50 წლისა და მეტი ასაკის საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით პირველადად (ორი დოზის აცრის შემთხვევაში, პირველი დოზით ვაქცინაცია) აიცრება საქართველოში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრების ადმინისტრირებაზე უფლებამოსილ სამედიცინო დაწესებულებებში, მასობრივი ვაქცინაციის ცენტრებში არსებულ ამცრელ კაბინეტებში ან აიცრება გამსვლელი ბრიგადების მეშვეობით.

ერთჯერადი სოციალური დახმარების ავტომატურად მიღების უფლება გახანგრძლივდა 2022 წლის 31 იანვრამდე;

ეს ვანდალიზმი დაბალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მაგალითია

„ვანდალიზმი ეს არის საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც გამოიხატება შენობებისა და ნაგებობების დამახინჯებასა და წაბილწვაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ საზოგადოებრივ ადგილებში ქონების დაზიანებში“. და რაოდენ სამწუხარო და სავალალოა, რომ თანამედროვეობაშიც აქტუალური და პრობლემატურია მსგავს თემებზე საუბარი. ამჯერად, საქმე ეხება, ხაშურში, საახალწლო ნაძვის ხის დეკორაციების ვანდალურად დაზიანებას, რაც არაერთხელ დაფიქსირდა. უცნაურია, გამუდმებით ვსაუბრობთ, რომ ქალაქი უნდა გალამაზდეს, მისი ქუჩები უნდა იყოს მოვლილი და ინფრასტრუქტურა გამართული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქალაქში არსებობდეს უფრო მეტი დასასვენებელი ადგილები, პარკები, სკვერები, განთავსებული იყოს ნაგვის ურნები თუ ბუნკერები.... მაგრამ არ ვსაუბრობთ ანდა სულაც არ გვახსენდება, რომ თითოეული მოქალაქე უნდა იყოს მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მატარებელი, გამოიჩინოს მეტი სამოქალაქო თვითშეგნება და გაუფრთხილდეს იმას, რაც გაკეთებულია, რაც ქალაქს ალამაზებს და მოსახლეობას სადღესასწაულო განწყობას უქმნის... საახალწლო დეკორაციების დაზიანება სხვა არაფერია, თუ არა დაბალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მატარებელი საზოგადოების არსებობა და გულგრილობა საკუთარი ქალაქისადმი...

19 იანვარს ნათლისღებაა - გილოცავთ!

ნათლისღება — ახალი აღთქმის ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლო და ქრისტიანული დღესასწაული, რომელსაც მართლმადიდებელ ეკლესიათა ნაწილი (6) 19 იანვარს აღნიშნავს. ამ დღეს,სახარების თანახმად,იოანე ნათლისმცემელმა მდინარე იორდანეში მონათლა იესო ქრისტე. ნათლისღების დღესასწაულზე წყლის კურთხევის მსახურება (დიდი აიაზმა) სრულდება

და ნაკურთხი წყალი მთელი წლის განმავლობაში ინახება. ნათლისღება ის ძირითადი აქტია, რომლითაც ადამიანი ქრისტიანად ითვლება.

ამ დღეს ასევე ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად წმინდა სამება: ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამა ღმერთის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ".[1]

ნათლობის რიტუალს წინ უძღვის კათაკმევლობის პერიოდი, რომლიც განმავლობაში ახალმოქცეული ემზადება ნათლისღებისთვის, ეცნობა ძირითად ჭეშმარიტებებს, სწავლობს მრწამსს, ესწრება საკვირაო

ლიტურგიას, ოღონდ არა ბოლომდე. კათაკმევლობის პერიოდი განსაზღვრული არ არის. ასევე განუსაზღვრელია ასაკი ადამიანისა, რომელიც ინათლება. ნათლისღება ხდება წყალში სამჯერ შთაფვლით ან სხურებით, უკიდურეს გამონაკლის შემთხვევებში — ქვიშით. ნათლობის რიტუალს აღავლენს მღვდელი. მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით, მონათლული განიწმინდება ცოდვებისგან და ხდება ქრისტეს ეკლესიის წევრი. მართლმადიდებლობა ნათლისღებას სულიერ შობად, მეორედ დაბადებად მიიჩნევს და ის მხოლოდ ერთხელ ხდება ადამიანის ცხოვრებაში.

აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე

14 იანვარს, ისევე როგორც მთელს ქვეყანაში, ხაშურშიც აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე. ამასთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობასა და ცენტრალურ მოედანზე საქართველოს ეროვნული დროშები გამოიფინა. ქართული სახელმწიფო დროშა ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის უმნიშვნელოვანესი სიმბოლოა, რომელიც თითოეული მოქალაქისგან ღირსეული პატივით მოპყრობას იმსახურებს.

სახელმწიფო დროშის დღე 14 იანვარს, საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიღების დღეს დაწესდა. დღესასწაული პირველად 2012 წლის 14 იანვარს აღინიშნა.

ზამთარი არ გვანებებს თავს. დეკემბერში მოსულ და შემდეგ გამქრალ თოვლს, ახალი ჩაენაცვლა და ხაშური კვლავ თეთრი სამოსით შეიმოსა. თუმცა, ხვალიდან სინიპტიკოსები გამოდარებას გვპირდებიან. ალბათ, მზეც ნელ-ნელა მოერევა ყინვას და სუსხს.

ბ. წიქრიძის ფოტო

იური მელიქიძის ხსოვნას

უმძიმესია იმის განცდა, როდესაც ახლო მეგობარი, რომელთან ერთადაც ათეული წლები გაგიტარებია, უცებ გშორდება და მარადიულ საუფლოში გადადის. ამ დროს უფრო გიმძაფრდება ამაოების შეგრძნება, მარტოსულობის განცდა და მხოლოდ ლამაზი მოგონებების ამარა რჩები. ასეთი კაცი გამოგვაკლდა სწორედ ამ დღეებში.

იური მელიქიძე - კაცი გამორჩეული თავისი ახოვანებითა და მომხიბვლელობით. მასთან სიახლოვეს ყოველთვის სიხარული მოჰქონდა. უხდებოდა ყველაფერი - სიმღერა, ცეკვა, ფორტეპიანოს აჟღერება თუ სუფრის გაძღოლა, რომელსაც არტისტული მანერებით ალამაზებდა და აუცილებლად თავს გამახსოვრებინებდა. ავტორიტეტიც უმაღლესი ჰქონდა თავის თანამშრომლებში, როდესაც ის შუშის ქარხნის დირექტორის მოადგილედ თუ სანატორიუმ „სურამის" დირექტორად მუშაობდა.

ძნელია, ძალიან ძნელია, როდესაც ასეთ მეგობარზე უკვე წარსულ დროში წერ. ერთადერთი ნუგეში ის რჩება, რომ ასეთი ალალი გულის კაცს უფალი ნათელს არ მოაკლებს.

მალხაზ ჭყოიძე, თენგიზ გაგნიძე, ავთანდილ კვახაძე, ნუგზარ ბლიაძე, დათო გელაშვილი, ალექსი ნემსაძე, როინ ხვედელიანი, ვანო ხიჯაკაძე, ნიკო ღონღაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე;
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.